



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთის ბოყვი

მთის ბოყვი, მთის ნეკერჩხალი (*Acer pseudoplatanus*), ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 40 მ აღწევს. ძალზე ლამაზი გუმბათისებრი ვარჯი აქვს. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში, კავკასიასა და დას. უკრაინაში. საქართველოში ძირითადად იზრდება დას-ის, იშვიათად აღმ-ის შერეულფოთლოვან და მუქწიწვოვან ტყეებში, მდინარისპირა ტერასებზე, ხეობებში, ხრამებსა და ხევებში. ჩრდილის ამტანი და სწრაფმზარდია. აშენებენ ბალ-პარკებსა და ქუჩებში. აქვს მაგარი და მკვრივი თეთრი მერქანი. თაფლოვანი მცენარეა.

რ. გაგნიძე
